გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 6
(11 463)

23 – 25 იანვარი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# კახი კალაძე მილანელია!

## ქართული ფეხბურთისთვის სარეკორდო ტრანსფერი გუშინ განხორციელდა კიევის „დინამოსა“ და „მილანს“ შორის

„ეს არის ჩემთვის უბედნიერესი დღე, სიზმარში მგონია თავი, არცა მჯერა, რომ მალე „მილანის“ მაისურს ჩავიცვამ და გვერდში ამოვუდგები ანდრეი შევჩენკოს, რომელიც ძმასავით მიყვარს“, – უთხრა გუშინ მილანის აეროპორტში კახი კალაძემ იტალიელ ჟურნალისტებს.

არადა, ყველაფერი რომ იტყვიან, თვალისდახამხამებაში მოხდა – ჯერ კიდევ გუშინწინ კახიმ მოსკოვში თანამეგობრობის ტურნირზე მეორე მატჩი ითამაშა. ძალიან ფრთხილად ირჯებოდა, ვინაიდან იცოდა, თვალს ადევნებდნენ საგანგებოდ მოვლენილი იტალიელი სკაუტები – ღმერთმა დაიფაროს, ამ დროს ტრავმა მიიღოს...

კიევის კლუბის წარმომადგენლებთან ერთად, კახი მილანში ადგილობრივი დროით ორის ნახევარზე ჩაფრინდა. იმთავითვე კლუბის ოფისს მიაშურეს, სადაც ჩვენებურმა დეტალური სამედიცინო შემოწმება გაიარა. მერე იყო მოკლე გამოსვლა იტალიის ტელევიზიის ერთ-ერთი არხით. როცა ეს ამბავი ხდებოდა, დახურულ კარს მიღმა კიევისა და მილანის კლუბის ხელმძღვანელები მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალებს იხილავდნენ, ცხადია, პირველ რიგში სატრანსფერო თანხის ოდენობაზე იყო ბჭობა.

როგორც ეტყობა, მოლაპარაკება რთულად მიმდინარეობდა, ცოტა ხნით გარეთ გამოსულმა „მილანის“ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ჟურნალისტებს ესლა გადაულაპარაკა: „ძალიან დიდ თანხას გვთხოვენ, ალბათ, 13 მილიონ დოლარზე შევთანხმდებით...“



კახი კალაძე
(თეთრ მაისურში)

## ლაშქრობა მყინვარწვერზე



**გუშინ თბილისში დაბრუნდა „მყინვარწვერი-2001-ის „ ქართულ-ებრაული ექსპედიცია ზურაბ კუჭავას ხელმძღვანელობით. ბანაკიდან ექსპედიციამ 7-ჯერ სცადა სხვადასხვა მიმართულებით გასვლა, თუმცა შედეგიანი მხოლოდ ოთხი გამოდგა. ახალ საუკუნეში, პირველი მწვერვალი იყო „სპარტაკი“, შემდეგ „მყინვარწვერ“ მეორე კატეგორიის სირთულის „ორწვერი“ და კვლავ „მყინვარწვერი“ — მესამე კატეგორიის. ექსპედიციაში, რომელიც 6 იანვრიდან 22 იანვრამდე გაგრძელდა, მონაწილეობდნენ ზურაბ კუჭავა, ვანო იმნაიშვილი, გიორგი ძაგნიძე, ირაკლი სოხაძე, ლევან ჩიქოვანი, შოთა კომახიძე, სოსო მგელაძე, დიმა ლაპიაშვილი, ნიკა ლებანიძე, გიორგი ნონიკაშვილი, ოთარ ქალამანიძე, კოტე ფროლოვი, ზურაბ ბადრიაშვილი, დევი ბერძენიშვილი. უფრო ვრცლად ამ ექსპედიციის შესახებ**

**„ლელოს“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.**

თამუნა ჯიშკარიანი

## უშბაზე მამაცები ადიან...

16 წლის წინათ, 1984 წლის ზამთარში 6 მთამსვლელის ტრაგიკული დაღუპვით დასრულდა ექსპედიცია უშბაზე. გავიდა ხუთი წელიწადი და ზამთრის ასვლა უშბაზე ბიძინა გუჯაბიძის ჯგუფმა განახორციელა. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ ქართველ ალპინისტთა ახალი მცდელობა, ზამთარში დაელაშქრათ ეს მწვერვალი, უშედეგოდ დასრულდა. — მერაბ ხაბაზს მარცხი შეემთხვა, მაშინ მან 70 მეტრი დაქანებაზე ისრიალა და ფეხი მოიტეხა, ჯგუფი კი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

და აი, 2001 წლის იანვარში, ბიძინა გუჯაბიძის, მერაბ ხაბაზისა და აფი გიგანის ჯგუფმა კვლავ უშბაზე აიღო გეზი. ვარაუდით, ისინი უკვე გუშინ, 22 იანვარს უნდა ასულიყვნენ ამ ზვიად მწვერვალზე. ბოლო, 21 იანვრის ინფორმაციით, ჯგუფმა კედელი — ბოლო ბასტიონი გაიარა. ამინდიც ხელსაყრელი იყო. სამწუხაროდ, მობილურით კავშირი 21 იანვარს შეწყდა სატელეფონო აპარატის კვების წყაროს დაცლის გამო. მკითხველი, როცა გაზეთის ამ ნომერს აიღებს ხელში, შეიძლება უკვე რადიო-ტელევიზიის მეშვეობით იცოდეს კიდეც უშბაზე ჩვენი ალპინისტების წარმატებული ლაშქრობის შესახებ.

## აჩქარდით, ხალხო!

### ვინ აგებს პასუხს „დინამოს“ რეგისტრაციის გაჭიანურებაზე?

დღეები გადის, ახლოვდება 12 თებერვალი, როცა საბოლოოდ უნდა გაირკვეს თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბს „მრეტების“ ვალის გამო, ფიფა კვლავ მისცემს არსებობის შესაძლებლობას, თუ მოკვეთს ყველანაირი შეჯიბრიდან, რაც ქართული ფეხბურთის მიწასთან გასწორების დასაწყისადაც შეიძლება იქცეს, ისევ და ისევ „დინამოს“ რეგისტრაცია, მისი იურიდიულ პირად ჩამოყალიბება რჩება გადაუდებელ პრობლემად. ეს საკითხი აწუხებთ ყველგან, სპორტულ თუ სახელმწიფო სტრუქტურებში, გულგრილი, ცხადია, არც საზოგადოებრიობაა, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯის გადამდგმელი არავინ ჩანს, ვიშვიში გაისმის მხოლოდ ყველა მხრიდან. რამდენადაც ვაკვირდებით, ყველაზე ლოგიკური პოზიცია ამ ორომტრიალში და ცაიტნოტურ ვითარებაში, მაინც გუნდის ახლანდელ თავკაცს რევაზ არველაძეს უკავია, ის ყველაფერს რეალურად ხედავს და ობიექტურად აანალიზებს, ხმამაღლა ვარაუდობს მოსალოდნელ შედეგებს, მაგრამ ვინ უსმენს! ისეთი ვითარება იქმნება, როცა ადამიანები ჭირისუფალთან სამძიმარზე მიდიან, ამით მოვალეობას იხდიან, მეტის გაკეთება კი არ შეუძლიათ. ვითომ მართლა ასეა საქმე? რატომ გვგონია, რომ „დინამოს“ ჭირისუფალი მხოლოდ არველაძეები და შექმნილი სიტუაციის გამო შეწუხებული სფფ და, მხოლოდ საზოგადოებრიობაა? რალაც ჯადოსნურ წრეში ტრიალებს ეს საქმე, კვანძს სათავეს ვერ უპოვნი, ნაცვლად იმისა, რომ ყველა ერთად დადგეს, ზურგსუკან ერთმანეთს ბლოკავენ.

ადრე თუ გვიან, „დინამოს“ ირგვლივ აბსურდული საქმე დალაგებას მოითხოვდა დ& ახლა ეს დროც დადგა, დრო, რომელიც „მრეტების“ მოთმინების ფიალის ავსებამ დააჩქარა და განაპირობა. რევაზ არველაძეს ასეთ არასახარბიელო სიტუაციაში მოუხდა „დინამოში“ კეთილი სურვილებით მისვლა, მაგრამ, ვიმეორებთ, მისი რატომლაც არავის ესმის, შიშველმა თანაგრძნობამ და ცარიელმა დაპირებებმა კი სადამდეც მიგვიყვანა, ყველა კარგად ხედავს. მოკლედ, არის სახელოვანი საფეხბურთო კლუბი თავისი უმდიდრესი ტრადიციებით, ნიჭიერი ფეხბურთელებით, გულანთებული მწვრთნელებით, მარად მადლიერი გულშემატკივრებით, მაგრამ არ არის რეგისტრირებული იურიდიულად, არ ჰყავს მეპატრონე, პრეზიდენტი, მმართველი ორგანო... რალა რჩება, თუ ამ კვირაში კლუბმა რეგისტრაცია არ გაიარა, ვითარება უფრო დაიძაბება, სულ მალე კი, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება საერთო გულგრილობის მწარე ნაყოფი ვიგემოთ.

მიმომხილველი

## ამდენი დამსვენებელი ბაკურიანს არ ახსოვს...

### მოთხილამურეთა საქართველოს ჩემპიონატის დაბრუნება რეალურია

ბაკურიანი განსაკუთრებით გალამაზებული და მრავალი სიახლით შეეგება ახალ წელს, ახალ საუკუნეს და ახალ ათასწლეულს. პირველ ყოვლისა, ეს ითქმის მომრავლებულ, თვალმისაზიდ კერძო სასტუმროებზე, რომლებიც კომფორტით გაჯიბრებიან ერთმანეთს. ღამისთევა კვებითაცაა და უამისოდაც, მსურველზეა დამოკიდებული, ფასებიც სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით შეიძლება შეარჩიოთ. მომრავლდა სავაჭრო ობიექტები, ბაზრები, კაფეები და ბარები, სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტები, კეთილმოწყობილია საბაგირო გზები, რომელთა ფასი წლეულს ნაცვლად ორისა, ერთი ლარი გახდა, დაქრიან ბურანები, მარხილები, გასეირნება შეიძლება ცხენითაც...

დამსვენებელი ბაკურიანს არასოდეს დაკლებია, მაგრამ ამდენი ხალხი დეკემბრის ბოლო დეკადიდან რომ ჩამოვიდა, ჯერ არავის ახსოვს. დილიდან საღამომდე არ წყდება თხილამურებზე სრიალით მოყვარულთა ჯირითი თეთრ ბილიკებზე. სასტუმრო შეგიძლიათ აირჩიოთ არა მხოლოდ გემოვნებით, მდებარეობითაც. აი ისინიც: „მთის ბროლი“, ტურისტული ფირმა „ბაკურიანი“, „გეოლოგი“, „მწვანე ველი“, „ლიტოსი“, „კოხტაგორა“, „ივერია“, „თოვლის ბაბუა“, წლეულს მათ რიცხვს შეემატა ზესტაფონის „ფერო“. გავების კერძო სასტუმროს კი, საცურაო აუზიც შეემატა. ბევრგან შენიშნავთ ახალ მშენებლობებს.

და, რალა თქმა უნდა, ბაკურიანი კვლავ ინარჩუნებს სპორტული ცენტრის სახელს სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთო ფიზიკური მომზადებისთვის.

ბაკურიანელმა მწვრთნელებმა კარგა ხანია თოვლზე სავარჯიშოდ გაიყვანეს თავიანთი „მართვეები“. ამ დღეებში ბაკურიანს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი სტუმრობდა და გადაწყდა, რომ წლეულს, დიდი ხნის შემდეგ, პირველად ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. ეს ცნობა ელვის სისწრაფით მოედო დაბას და ყველა გულმოდგინედ ემზადება ჩემპიონატისთვის.

სოფიკო ხეთაგაშვილი,
„ლელოს“ საკ. კორ., ბაკურიანი

*ავტორის ფოტო*



*დაბაში კიდევ ერთი სასტუმრო შენდება...*

## გაზეთის დაბეჭდვის წინ...

**ოლიმპიზმი.** საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ხელი მოაწერა კონტრაქტს შვეიცარიის „Swatch Group“-თან. ამ ფირმამ მოიპოვა ექსკლუზიური უფლება 2010 წლამდე ყველა ოლიმპიურ თამაშზე დააფიქსიროს ანგარიში, დრო და შედეგი.

**ჭადრაკი. ჰოლანდიის ვეიკ-ან-ზეეს საჭადრაკო ტურნირში მეშვიდე ტურის შეხვედრები შედგა. კასპაროვმა თეთრი ფიგურებით სძლია ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს, ხოლო კრამნიკმა შავებით — უკრაინელ ვასილ ივანჩუკს. ამრიგად, კასპაროვმა და კრამნიკმა შეამცირეს ჩამორჩენა ერთპიროვნული ლიდერის — ესპანელი ალექსეი შიროვთან.** *(იხ. მე–8 გვ.)*

**ფეხბურთი.** ცნობილი გახდა, რომ ინგლისის „ევერტონის“ ჭირვეულ ნახევარმცველს პოლ გასკოინს კვირის ბოლოს თეძოზე ოპერაციას გაუკეთებენ. აღსანიშნავია, რომ ასეთივე ტრავმა მას ჰქონდა მიღებული ორი თვის წინათ „ასტონ ვილასთან“ მატჩში. ამ რეციდივის გამო გასკოინი ერთ თვეს დაისვენებს.

**● ინდოეთში მიმდინარე დიდ საფეხბურთო საერთაშორისო ტურნირზე „Millenium Cup“ პირველი ფინალისტი გამოვლინდა — ნახევარფინალში. ბოსნიელებმა ჩილელებს სძლიეს — 1-0**

*(სხვა ახალი ამბები იხ. მე–7 გვ.)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 7 თვე დარჩა

## გაგვაცანით მომავალი ოლიმპიელები

„ლელოს" წინა ნომრიდან რედაქციამ დაიწყო იმ სპორტსმენების წარდგინება მკითხველისათვის, რომლებმაც, სავარაუდოდ, შეიძლება მოიპოვონ შესაბამისი ლიცენზია და იასპარეზონ ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

რედაქცია სთხოვს სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს და ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელებს, მოგვაწოდონ მონაცემები (ფოტოსურათით) იმ სპორტსმენებზე, რომლებსაც მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის პოტენციური შესაძლებლობა გააჩნიათ.

„ლელოს" უახლოეს ნომერში მძლეოსან მარიამ ქევხიშვილს წარმოგიდგენთ, რომელიც ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და წარმატებით ასპარეზობს ბირთვის კვრაში.

**მძლეოსნობა თბილისის ღია პირველობა**

# „დედამ გოჭი გაყიდა შეჯიბრებაზე რომ წამოვსულიყავი..."

აი, ზუსტად ასე თქვა ერთმა სენაკელმა ახალბედა მძლეოსანმა, რომელიც თბილისის ღია პირველობაში მონაწილეობდა. სეზონი ტრადიციულად ამ ასპარეზობით იწყება და დედაქალაქის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური, რომლის თაოსნობითაც ტარდება ეს შეჯიბრება, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებსაც აძლევს მასში მონაწილეობის შესაძლებლობას, რაც უდავოდ მისასალმებელია. რაიონებში და ქალაქებში იციან, რომ ეს შეჯიბრება აუცილებლად ჩატარდება და სპორტსმენებიც, რომლებიც შეჯიბრებას არიან დანატრებულნი, გულმოდგინედ ემზადებიან. მათ მხოლოდ ერთი პრობლემა რჩებათ მოსაგვარებელი, როგორმე გზის ფული იშოვნონ, თორემ დანარჩენ ხარჯებს შეჯიბრების ზემოხსენებული ორგანიზატორი იხდის.

სამწუხაროდ, ძალიან ხშირად გზის ფულსაც ვერ უხდიან სპორტსმენებს ადგილობრივი ორგანიზაციები. ბევრი საკუთარი ხარჯებით მიემგზავრება შე-


სამხტომში გამარჯვებულებს აჯილდოებს ვ. კანკავა

ჯიბრებებზე, მაგრამ რა ჰქნან, ვისაც ოჯახშიც არ გააჩნია ფული, რაც ჩვენში სტიქიური მოვლენაა, და იქნებ გოჭიც და ინდაურიც აღარ დარჩა გასაყიდი? აი, როგორ იკარგებიან ტალანტები. ეს კი ჩვენი საერთო ტრაგედიაა.

ახლა გაგაცნობთ თბილისის ღია პირველობის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს. დავძენთ, რომ ზოგიერთ პროგრამაში ორი, ან სულაც ერთი მძლეოსანი მონაწილეობდა მხოლოდ.

**კვარცხლბეკი.** ***ვაჟები: 60 მ.*** 1. კახა ვაჩეიშვილი (აჭარა), 2. ირაკლი მაქაცარია (ზუგდ), 3. გოჩა ჩხაპელია (აფხ); ***200 მ:*** 1. ჩხაპელია, 2. მაქაცარია, 3. დავით ილარიონი (გარდაბ.); ***400 მ:*** 1. ზურაბ წერეთელი, 2. ანდრეი პოზივალო (ორივე — თბ.), 3. ნიკა მიშველიანი (აჭ.); ***800 მ:*** 1. პოზივალო, 2. გიორგი იურკანოვი, 3. ანდრო მეტრეველი (ორივე — თბ.); ***1500 მ:*** 1. მეტრეველი, 2. გიორგი გოგოტიშვილი, 3. ჰამლეტ მამიკონიანი (სამივე — თბ); ***5000 მ:*** 1. მამიკონიანი, 2. გოგოტიშვილი, 3. ლევან თელაურიძე (ახმეტა); ***60 მ. თარჯი:*** 1. სერგეი ტურიატკო (ქუთ.), 2. ილარიონი; ***სიგრძე:*** 1. ლადო პაპუაშვილი (თბ), 2. ირაკლი რურუა, 3. ბექა დანელია (ორივე — მარტვილი); ***ბირთვი:*** 1. მამუკა ტულუში (ოზურგ), 2. ერიკ აბრამიანი, 3. ბესო გორელაშვილი (ორივე — თბ). ***სამხტომი:*** 1. დანელია. ***გოგონები 60 მ:*** 1. აიდა ტოროსიანი (თბ), 2. მარიამ შულაია (ზუგდ), 3. მარინა ჯაძე (ახმეტა), ***200 მ:*** 1. მარინა ინაშვილი, 2. თამარ ესებუა, 3. ანა ნიკოლაიშვილი (სამივე — თბ), ***400 მ:*** 1. ესებუა, 2. მარინა ეფიმოვა (თბ), 3. მარინა გვარამაძე (ახალც); ***800 მ:*** 1. ნანა გუთანაიძე, 2. ნინო თათრულაიძე (ორივე — ახმეტა), 3. ნანა კობერიძე (ბორჯ); ***1500 მ:*** 1. ნანა გუთანაიძე, 2. სოფიო ლაბაძე, 3. ცირა ლომიძე (ორივე — ახალციხე); ***3000 მ:*** 1. თამარ გუთანაიძე, 2. მარიამ გუთანაიძე (ორივე — ახმეტა), 3. ნატალია გელაშვილი (ბორჯ.); ***ბირთვი:*** 1. მაკა ობოლაშვილი, 2. მაია ქევხიშვილი (ორივე — გარდაბ.), 3. ნინო მელაძე (თბ); ***სიგრძე:*** 1. შულაია, 2. ნათია ჯანელიძე (ზუგ.), 3. ნატო მექვაბიშვილი (თბ); ***სამხტომი:*** 1. ქრისტინა რურუა, 2. იამზე ტოგონიძე (ორივე — თბ.).


400 მ-ზე გარბენი

ალსანიშნავია ქუთაისელ ტურიატკოს შედეგი 7,9 წ. 60 მ. თარჯრბენში, გარდაბნელმა ილარიონმა 60 მ. რბენაში 8,0 აჩვენა ბირთვის კვრაში (7 კგ) საუკეთესო შედეგი აჩვენა 14 წლის ტულუშმა — 14,76 მ; 60 მ. რბენაში — ვაჩეიშვილმა 6,8 და მაქაცარიამ — 6,8. გოგონებიდან საუკეთესო მიღწევით გამოირჩევა მაია ქევხიშვილი (ბირთვი — 11,57 მ). მაია 14 წლისაა.

ყველაზე მეტი გამარჯვებული ჰყავს „მართვეს" (ვაჟებში 10-დან 6 პროგრამაში) და გოგონებში (9-დან 7 პროგრამაში).

მონაწილეობდნენ: თბილისის, აჭარის, ქუთაისის, მარტვილის, სენაკის, ზუგდიდის, ბორჯომის, ახალციხის, საგარეჯოს, გარდაბნის და ახმეტის წარმომადგენლები.


რბენებში გამარჯვებული და პრიზიორი თამარ ესებუა

**საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე:** „ეს არის ერთადერთი შეჯიბრება, რომელიც სტაბილურად ტარდება, რისთვისაც მადლობას იმსახურებს თბილისის მერიისა და მისი სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობა. როგორც ყოველთვის, ღია პირველობა ამჯერადაც კარგად იყო ორგანიზებული. „შევარდენის" თავმჯდომარემ ბერდია გუგავამ საამისოდ ყველაფერი გააკეთა, დარბაზიც არენდის საფასურის გადაუხდელად დაგვითმეს. ზემოხსენებულმა საქალაქო სამსახურმა და მისმა უფროსმა ვლადიმერ კანკავამ უხვად დააწესა პრიზები და საჩუქრები გამარჯვებულებისა და პრიზიორებისათვის. რამდენიმე შთამბეჭდავი შედეგი კი იმედს გვაძლევს, რომ საერთაშორისო არენაზე შევინარჩუნებთ მონაწილეობის უფლებას."

ც. ბაქრაძე

*რობერტ ბაბოიანის ფოტოები*

# კარატე-დო, პლუს ქველმოქმედება

გულმოწყალება და ქველმოქმედება ჩვენნაირი ყოფის ქვეყანაში ჰაერივით ესაჭიროება სოციალურად დაუცველ ადამიანებს, განსაკუთრებით მოზარდებს. დახმარების ხელის გაწვდენა ბევრს ძალუძს, მაგრამ თავს ნაკლებად იწუხებს, სხვისი გაჭირვება და პრობლემები, მათთვის არაფერს ნიშნავს. საბედნიეროდ, არიან ისეთებიც, რომლებიც შესაძლებლობის შესაბამისად ავლენენ თანადგომას.

სპორტულმა ფედერაციამ დღეს რომ სხვას გაუწიოს დახმარება, ნამდვილად სენსაციური ამბავია. არადა, ასეთი ფაქტი სულ ამ სამიოდე დღის წინათ მოხდა თბილისში. საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი კახა ბასილია) საქველმოქმედო აქცია ჩაატარა კოჯრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის. ფედერაციამ საკუთარი სახსრებით ჩამოიყვანა ბავშვები თბილისში, წაიყვანა ცირკში, ასადილეს და უკანვე წაიყვანეს დაქირავებული ტრანსპორტით.

ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ როგორ გაიხარებდნენ პატარები, არადა, ასეთი სიხარულის მოტანა, სპორტულ ფედერაციაზე უფრო შეძლებულ რამდენ ფირმას და კომპანიას შეუძლია ბავშვებისთვის და არა მხოლოდ მათთვის.

### გასულ კვირას კი კარატე-დოს ზეიმი იყო შიდა ქართლში

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა ერთ-ერთ ამოცანად დაისახა საქართველოს პირველობებისა და ჩემპიონატების ჩატარება ჩვენი ქვეყნის ცალკეულ მხარეებში, რაიონებსა თუ ქალაქებში. ეს რომ აუცილებელი ნაბიჯია ტრადიციების ასაღორძინებლად და სპორტის პროპაგანდისათვის, ეჭვგარეშეა. გასულ კვირას გორში გამართულმა შიდა ქართლის პირველობამ კარატე-დოში, ეს მოსაზრება თვალნათლივ დაადასტურა. შეჯიბრება გორში გაიმართა და იგი ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მოექცა, შეჯიბრებაზე ამ მხარის რაიონების სპორტსმენებს კარატეს და, საერთოდ, სპორტის მოყვარულებიც ბლომად გაჰყვნენ. აი სპორტულ ზეიმზე კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდიუმის წევრმა თენგიზ კიკნაძემ ლეგენდარულ გორელ ძიუდოისტს, ოლიმპიურ ჩემპიონს შოთა ჩოჩიშვილს გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის საახალწლო მილოცვა და სამახსოვრო საჩუქარი. შოთა ჩოჩიშვილმა მადლობით აღნიშნა მისდამი ასეთი ყურადღება.


გორი. შეჯიბრების ორგანიზატორები და მასპინძლები

– მართლაც შესანიშნავი ღონისძიება გამოგვივიდა. დიდი მადლობა მოქალაქეთა კავშირს და მის გენერალურ მდივანს ედვარდ სურმანიძეს ხელშეწყობისა და თანადგომისათვის. მიღწეულია შეთანხმება, რომ ასევე ერთობლივად, 11 თებერვალს, თბილისში ჩავატაროთ სრულიად საქართველოს დიდი ტურნირი, რომელიც ქვეყნის ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნება, – უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს კახა ბასილიამ.


გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან.

## EVRO-2002 ● ხელბურთი

### შესარჩევი ტურნირი. ვაჟები

**I ჯგუფი**

ავსტრია — ბელარუსი 31:29 (19:15)
იტალია — ესტონეთი 26:18 (14:10)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 6 | 4 | 0 | 2 | 175-136 | 8 |
| იტალია | 6 | 3 | 1 | 2 | 130-136 | 7 |
| ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 151-173 | 5 |
| ესტონეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 145-156 | 4 |

**II ჯგუფი**

ბელგია — ფინეთი 21:24 (10:14)
სლოვაკეთი — ბულგარეთი 31:17 (17:7)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 162-128 | 9 |
| ფინეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 161-144 | 9 |
| ბულგარეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 143-156 | 5 |
| ბელგია | 6 | 0 | 1 | 5 | 119-157 | 1 |

**III ჯგუფი**

ბოსნია — საქართველო 26:24 (13:11)
ბოსნია — საქართველო 28:17 (13:7)
თურქეთი — საბერძნ 6:24 (13:9)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 161-137 | 10 |
| ბოსნია | 6 | 4 | 0 | 2 | 150-138 | 8 |
| საბერძნეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 148-151 | 6 |
| საქართველო | 6 | 0 | 0 | 5 | 124-157 | 0 |

**IV ჯგუფი**

ლიტვა — ფარერები 29:21 (13:8)
შვეიცარია — რუმინეთი 26:23 (14:10)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 6 | 5 | 0 | 1 | 150-115 | 10 |
| შვეიცარია | 6 | 5 | 0 | 1 | 157-138 | 10 |
| რუმინეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 145-139 | 4 |
| ფარერები | 6 | 0 | 0 | 6 | 119-179 | 0 |

**V ჯგუფი**

კვიპროსი — ლუქსემბურგი 24:23 (14:12)
ისრაელი — ჰოლანდია გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 5 | 4 | 1 | 0 | 137-102 | 9 |
| ისრაელი | 5 | 4 | 1 | 0 | 141-110 | 9 |
| ლუქსემბურ. | 6 | 1 | 0 | 5 | 125-152 | 2 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 0 | 5 | 125-164 | 2 |

გსურთ სამ თვეში უცხო ენის შესწავლა?
მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს. ენის საუკეთესო სპეციალისტები შეგასწავლიან ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ და რუსულ ენებს.
გსურთ კომპიუტერის შესწავლა?
მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს
ERC
„ელიტა სკ"
ELITE-RC CO.LTD
უცხო ენების და კომპიუტერის სწრაფი კურსები
თბილისი-380077, ვაჟა-ფშაველას 44 (მ. დელისი), ტელ.: 39-87-25,
E-mail: erc@caucasus.net

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახური

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

## იტერა-თანამეგობრობა-2001

# ქუთაისელებმა ქართული ფეხბურთის პრესტიჟის აღდგენა დაისახეს მიზნად

რატომღაც ასე იყო — ამ ტურნირს ჩვენში არასერიოზულად ეკიდებოდნენ (არადა, იგი ფიფას ოფიციალურ შეჯიბრებათა კალენდარშია შეტანილი) და მივედით იმ მდგომარეობამდე, რომ წელს საქართველოს ჩემპიონი მეორეხარისხოვან გუნდებთან საასპარეზოდაა გამწესებული.

როგორც ჩანს, „ტორპედო“, რომელსაც ახლა სათავეში მწვრთნელთა ტანდემი დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი უდგას, მოსკოვში მობილიზებული, სათანადოდ მომზადებული ჩავიდა. გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობს და შედეგიც არის: ორი ტურის შემდეგ იგი ერთპიროვნულად ლიდერობს „C“ ჯგუფში, სადაც აგრეთვე გამოდიან აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის რჩეული გუნდები.



მიხეილ აშვეთია

*21 იანვარი, სპორტკომპლექსი „ოლიმპიისკი“. 3500 მაყურებელი*

**შამქირი — ტორპედო 1-2**

*შამქირი:* გ. მამედოვი (მეხტიევი, 61), ქერიმოვი, იუნუსოვი, აზ. მამედოვი, აბიშევი, მ. ყურბანოვი, მარდანოვი, ი. მამედოვი (აგ. მამედოვი, 65), კვარაცხელია, ე. ყურბანოვი (ორუჯოვი, 83), რზაევი (ხ. მამედოვი, 64).

*ტორპედო:* ზოიძე, იონანიძე (ახალკაცი, 89), არჩვაძე (მახვილაძე, 71), თოდუა, ქემოკლიძე, შალამბერიძე (ასათიანი, 44), აშვეთია (გვირჯიშვილი, 75), სილაგაძე, ჩხეტიანი (ხვადაგიანი, 66), გუჩუა, ჯინჭარაძე (დ. ჯანაშია).

*გოლები:* 1-0 კვარაცხელია (7), 1-1 იონანიძე (20), 1-2 აშვეთია(60).

*გააფრთხილეს:* არჩვაძე (19), შალამბერიძე (25), თოდუა (26), იუნუსოვი (43), აშვეთია (44), იონანიძე (83).

*მსაჯი:* მეჟიალუსი (ლიტვა).

ბრძოლა უშეღავათო გამოდგა, საკმაოდ ემოციურიც, რასაც შეხვედრის არბიტრის მიერ გამოტანილი 6 გაფრთხილება მოწმობს, აქედან 5 ქუთათურებმა დაიმსახურეს, რაზედაც, ალბათ, ჩვენი მწვრთნელები გაამახვილებენ ფეხბურთელების ყურადღებას.

ქუთაისელებმა კვლავ აქტიურად დაიწყეს, მაგრამ მეტოქის სწრაფი კონტრშეტევა გამოეპარათ, რაც კარგად გამოიყენა აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველმა ლეგიონერმა ბადრი კვარაცხელიამ. რამდენიმე წუთში ჩვენებმა ანგარიში გაათანაბრეს — ეს ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით იონანიძემ შეძლო. მერე კი, უწინდელივით მაღალოსტატურად ითამაშა აშვეთიამ, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა.

*20 იანვარი. „სპარტაკის“ სპორტკომპლექსი. 1500 მაყურებელი.*

**ტორპედო — ქაშტიკი 3-0**

*ტორპედო:* ზოიძე, ხვადაგიანი (შალამბერიძე, 75), სილაგაძე, ქემოკლიძე, თოდუა, გუჩუა, დ. ჯანაშია (კვეტენაძე, 57), ასათიანი (ჩხეტიანი, 65), იონანიძე (მახვილაძე, 87), აშვეთია (ახალკაცი, 90), იმედაძე (ჯინჭარაძე, 50).

*ქაშტიკი:* მამატკასიმოვი, ურმეევი, დოკუჩაევი, სულეიმანოვი, რაჯაბალიევი, მამანოვი, ალთიბაევი, კასიმოვი (ისროილოვი, 89), ბოლდიგინი, ტიმოფეევი (კოშბეკოვი, 64), იუსუპოვი (მირზალიევი, 10).

*გოლები:* აშვეთია (83,90), შალამბერიძე (88), მე-19 წუთზე ჯანაშიამ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე).

*გააფრთხილეს:* კასიმოვი (53), ურმეევი (70).

*მსაჯი:* ჟუკოვსკი (ყაზახეთი).

კარგა ხანია მოსკოვში ამდენ ქართველობას ერთად არ მოუყრია თავი და ამის მიზეზი მისი უდიდებულესობა ფეხბურთია. მეტრო „სოკოლნიკიდან“ „სპარტაკის“ სპორტკომპლექსამდე ჯერ კიდევ ერთი საათით ადრე შენიშნავდით ჯგუფებად მდგარ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებსაც მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდათ — როგორ ეშოვნათ მატჩზე დასასწრები ბილეთი...

ქუთაისელები ინიციატივას მატჩის დასაწყისშივე დაეუფლნენ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ნახევარმცველები, სადაც ჩვეული შემართებითა და თავდადებით მოქმედებდა გუჩუა. მეტად სახიფათოდ უტევდნენ წინ წაწეული ფორვარდები იმედაძე-აშვეთია, მათ კი ეფექტური გადაცემებით ამარაგებდა იონანიძე.

პირველი 20 წუთი ისე მიილია, ყირგიზი ფეხბურთელები ქუთაისელთა ნახევარზე არ გადმოსულან, მხოლოდ დაცვაზე ზრუნავდნენ. დროის ამ მონაკვეთში ქართველებმა 5 საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს (ჯანაშია, გუჩუა, აშვეთია). ქუთათურებმა მალე პენალტიც კი დაიმსახურეს (მეტოქის საჯარიმო მოედანში შეჭრილ ქემოკლიძეს შუააზიელებმა სარმა გამოსდეს). სამწუხაროდ, ჯანაშიამ იგი ვერ გამოიყენა — ფორვარდმა ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ მამატკასიმოვმა შესაშური რეაქცია გამოავლინა.

პირველი ტაიმის შუაწელში თამაში შედარებით გათანაბრდა. ყირგიზელებმა რამდენჯერმე ზოიძის კარის მიმართულებითაც დაარტყეს, მაგრამ, არაზუსტად. აი, ამის შემდეგ კი ძალზე აქტიურად ათამაშდა მიხეილ აშვეთია. განსაკუთრებით მეორე ტაიმი გამოუვიდა — დაკარგული ბურთისთვისაც აქტიურად იყრძოდა, მახვილგონივრულ შეტევებსაც იწყებდა, როცა საჭირო იყო, თავის თავზე იღებდა თამაშს.

და მაინც, ქუთათურები კი უტევდნენ, მაგრამ გოლი არ გადიოდა. მაყურებელთა ნაწილმა გასასვლელისკენ გასწია, როცა ტორპედოელებმა საწადელს მიაღწიეს: ჯერ, დამთავრებამდე 7 წუთით ადრე მატჩის გმირმა აშვეთიამ მშვენიერი ინდივიდუალური ოსტატობა გამოავლინა, როცა საჯარიმო მოედანში შეიჭრა, სამი მცველი „დააწვინა“ და ზუსტად დაარტყა დაბალ კუთხეში. მერე შალამბერიძემ ივარგა — მახვილი კუთხიდან შეაგდო. და ბოლოს, მსაჯის სასტვენამდე წამებიღა აკლდა, როცა ისევ აშვეთიამ გაიბრწყინა და შესაშური სიმშვიდით გამოიყენა თავისი შანსი.

დღეს ქართველი ფეხბურთელები დასკვნით შეხვედრას გამართავენ უზბეკეთის „დუსტლიკთან“. ჯგუფში პირველ ადგილზე რომ გავიდნენ, ჩვენებს ფრეც ჰყოფნით. თუ ასე მოხდა, გაისად, თანამეგობრობა-2002-ში საქართველოს ჩემპიონი უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს, იქ, სადაც გამოდიან მოსკოვის „სპარტაკი“ და კიევის „დინამო“, რომელმაც კვირას მოულოდნელი მარცხი იწვნია რიგის „სკონტოსაგან“. ლატვიის გუნდში დამაჯერებელი თამაშით გამოირჩევიან ალექსანდრე რეხვიაშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი (ტურნირის პირველ დღეს მან ლამაზი გოლი გაიტანა „ზიმბრუს“ კარში).

# გიორგი დემეტრაძეს ოპერაცია გაუკეთეს – ექიმების პროგნოზი ოპტიმისტურია

ქართველმა გულშემატკივრებმა რამდენიმე დღის წინათ უსიამოვნო ამბავი შეიტყვეს — ესპანეთის „რეალ-სოსიედადში“ ახალგადასულმა გიორგი დემეტრაძემ ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლი იტკინა და საოპერაციო გახდა. გუშინ შევეცადეთ დაგვერეკა სან-სებასტიანში, უშუალოდ გიორგისგან გვაინტერესებდა ახალი ამბების გაგება, მაგრამ არაფერი გამოვიდა — ყურმილს არავინ იღებდა. ბოლოს „სოსიედადის“ კლუბში დავრეკეთ. აი რა გვითხრა პრეს-ატაშე ანდონი ირაოდამ.

**● *დემეტრაძეს ვერ დავუკავშირდით, ამიტომ თქვენგან გვაინტერესებს გავიგოთ როგორია ქართველი ლეგიონერის ჯანმრთელობის მდგომარეობა?***

— ცხადია, ამ ფეხბურთელს ვერ დაუკავშირდებოდით, ვინაიდან მას პარასკევს, 19 იანვარს, დღის ორის ნახევარზე მენისკის ოპერაცია გაუკეთეს სან-სებასტიანის ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში. ქირურგები აქსალაბასო და ესკობარი თავის ნახელავით კმაყოფილები არიან. მათი ვარაუდით, სარეაბილიტაციო პერიოდი თვენახევარზე მეტს არ გასტანს და უკვე მარტის მეორე ნახევარში ამ მოთამაშეს შეეძლება მონაწილეობა მიიღოს ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებში.

**● *სხვა მხრივ, რაიმე პრობლემა ხომ არ აწუხებს გიორგის?***

— რას ამბობთ, კლუბმა მას კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა პირობა შეუსრულა — დემეტრაძეს გამოუყვეს ორსართულიანი სახლი სან-სებასტიანის ყველაზე პრესტიჟულ რაიონში, ახალთახალი ავტომობილი „Rover“-ი.

**● *ტოშაკმა დემეტრაძე „სარაგოსას“ წინააღმდეგ შეცვლაზე გამოიყვანა, მაგრამ ოც წუთში გამოცვალა, რატომ?***

— სულაც არაა გასაკვირი: დემეტრაძე ფორმაში არაა, ვინაიდან კიევში სხვა პროგრამით ვარჯიშობდა, თანდათან უახლოვდებოდა „პიკს“, ახლა კი, ესპანეთში ჩამოსვლის შემდეგ ფორსირებული მზადება მოუწია. არაფერია, ყველაფერი მოგვარდება!



# თაოსნობას ეხმაურებიან, მსჯელობენ...

იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გურამ ფილიპაშვილმა კარგ თაოსნობას ჩაუყარა საფუძველი: მისი პატრონაჟით ტარდება დასავლეთ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია იმერეთის, აჭარის და სამეგრელოს ქალაქებსა და რაიონებში — ქუთაისში, ზესტაფონში, ტყიბულში, ხობში, ბათუმში, ქობულეთში, ზუგდიდში, ფოთში. სულ ჩემპიონატში რვა გუნდი მონაწილეობს.

დღეისათვის ვეტერანებმა 4-4 მატჩი ითამაშეს, ქულათა მაქსიმუმით (12) დაწინაურდნენ ფოთელები. მათ ორი ქულით ჩამორჩებიან ზუგდიდელები. ამჟამად ტურნირზე შესვენებაა, შეჯიბრება 7 მარტიდან განახლდება.

საინტერესო მოსაზრება ამ ასპარეზობასთან დაკავშირებით გამოთქვა სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთის განვითარებისა და საშეჯიბრო კომიტეტის უფროსმა ***ჯემალ გოგიამ:*** „გურამ ფილიპაშვილის თაოსნობას აღმოსავლეთ საქართველოშიც გამოეხმაურნენ, იქაც განიზრახეს ამდაგვარი ტურნირის ჩატარება, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, სჯობს ჯერ რეგიონებში ჩავატაროთ ვეტერანთა ჩემპიონატები. ამის შემდეგ გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა ჩემპიონატში, რომელიც სათასო გათამაშების პრინციპით გაიმართება“.

## კაპანაძე – უკრაინიდან ბულგარეთში

უკრაინული გაზეთები იტყობინებიან, რომ ტერნოპოლის „ნივას“ თავდამსხმელი ავთანდილ კაპანაძე გადადის ბულგარეთის კლუბ „ბოტევში“.

## უმაღლესი ლიგა

**A ჯგუფი.** სპარტაკი (რუსეთი), სლავია (ბელარუსი), კაუნასი (ლიტვა), ვარზობი (ტაჯიკეთი).

**B ჯგუფი.** დინამო (უკრაინა), კოპეტდაღი (თურქმენეთი), სკონტო — (ლატვია), ზიმბრუ (მოლდოვა).

*შენიშვნა: გუნდები, რომლებიც ამ ჯგუფებში ბოლო ადგილს დაიკავებენ, მომავალ გათამაშებაში პირველ ლიგაში იასპარეზებენ.*

## პირველი ლიგა

**C ჯგუფი.** ტორპედო (საქართველო), შამქირი (აზერბაიჯანი), დუსტლიკი (უზბეკეთი), ქაშტიკი (ყირგიზეთი).

**D ჯგუფი.** ლევადია (ესტონეთი), ქენისი (ყაზახეთი), არაქსი (სომხეთი), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (უკონკურსოდ).

*ამ ჯგუფებში გამარჯვებულები გაისად უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ.*

**A ჯგუფი.**

**20 იანვარი.** ვარზობი — კაუნასი 0-2, სპარტაკი — სლავია 3-1

**21 იანვარი.** სლავია — ვარზობი 1-1, კაუნასი — სპარტაკი 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სპარტაკი** | **2** | **2** | **0** | **0** | **5-1** | **6** |
| **კაუნასი** | **2** | **1** | **0** | **1** | **2-2** | **3** |
| სლავია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| ვარზობი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

**B ჯგუფი.**

**20 იანვარი.** ზიმბრუ — სკონტო 2-2, დინამო — კოპეტდაღი 1-1

**21 იანვარი.** სკონტო — დინამო 1-0, კოპეტდაღი — ზიმბრუ 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სკონტო** | **2** | **1** | **1** | **0** | **3-2** | **4** |
| **კოპეტდაღი** | **2** | **1** | **1** | **0** | **2-1** | **4** |
| ზიმბრუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |

**C ჯგუფი.**

**20 იანვარი.** ტორპედო — ქაშტიკი 3-0, შამქირი — დუსტლიკი 1-1

**21 იანვარი.** შამქირი — ტორპედო 1-2, დუსტლიკი — ქაშტიკი 7-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | **2** | **2** | **0** | **0** | **5-1** | **6** |
| დუსტლიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 8-1 | 4 |
| შამქირი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| ქაშტიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-10 | 0 |

**D ჯგუფი.**

**20 იანვარი.** ქენისი — არაქსი 1-2, რუსეთი — ლევადია 4-2

**21 იანვარი.** რუსეთი — არაქსი 3-2, ლევადია — ქენისი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-4 | 6 |
| **არაქსი** | **2** | **1** | **0** | **1** | **4-4** | **3** |
| ქენისი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| ლევადია | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |

*დღეს ტურნირზე დასვენების დღეა. შემდეგი კალენდარი კი ასეთია:*

**23 იანვარი**

**ს.კ. „ოლიმპიისკი“.** კოპეტდაღი — სკონტო (14.00). სლავია — კაუნასი (16.00), ზიმბრუ — დინამო (18.00), სპარტაკი — ვარზობი (20.00).

**ს.კ. „სპარტაკი“.** ქენისი — რუსეთი (14.00), ლევადია — არაქსი (16.00), ტორპედო — დუსტლიკი (18.00), ქაშტიკი — შამქირი (20.00).

**24 იანვარი**

**ს.კ. „ოლიმპიისკი“.** 2A-1B. (17.30), 1A-2B (20.00).

**26 იანვარი**

ს.კ. „ოლიმპიისკი“ 2B-2A (17.30), 1B-1A (20.00)

**28 იანვარი**

**ს.კ. „ოლიმპიისკი“.** ფინალი (15.00).

***შენიშვნა: დრო თბილისისაა.***

## ბლატერი აღმოსავლეთ-ევროპელებს შეხვდა



მოსკოვში, თანამეგობრობა-2001-ის ტურნირზე საპატიო სტუმრის სტატუსით მყოფი ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი გუშინ ლუჟნიკებში შეხვდა აღმოსავლეთ ევროპის 15 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელებს. საუბარი, ძირითადში, მიმდინარეობდა იმ ფინანსური დახმარების თაობაზე, რომელსაც ფიფა გაუწევს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას.

ბლატერის განცხადებით, რუსეთსა და უკრაინას ძალუძთ ერთობლივად უმასპინძლონ ევროპის ჩემპიონატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეზო არველაძეს კოკა მიკუჩაძისა სჯერა


კოკა მიკუჩაძე და რევაზ არველაძე

თბილისის „დინამოს" დღევანდელ მდგომარეობას სახარბიელო არ ეთქმის, მაგრამ, საბედნიეროდ, ცხოვრება გრძელდება და ქართული ფეხბურთის ფლაგმანის შემადგენლობაში ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები მაინც ჩნდებიან. საგაზაფხულო ეტაპს გუნდი შინაურ კედლებში მზადებით ხვდება და ორ საკონტროლო მატჩში „დილასთან" და „გორდასთან", გამოცდილ ფეხბურთელებთან ერთად, ახალგაზრდებიც გასინჯეს. გუნდის მთავარ მწვრთნელს რეზო არველაძეს (განსაკუთრებით „დინამო 2"-ში მოთამაშე ფორვარდის კოკა მიკუჩაძის იმედი აქვს, პერსპექტიულ ფეხბურთელად თვლის და ძირითადი გუნდისთვის ამზადებს. ბოლო საკონტროლო შეხვედრაში კოკამ გოლიც გაიტანა და როგორც ჩანს, თავადაც ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება გადაუწყვეტია. რამდენიმე დღის წინ, კოკა მიკუჩაძე უკვე „მთავარ „დინამოში" გადაიყვანეს და თუკი ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა ყველა პრობლემა მოაგვარა, მაშინ...

– ჩემი პირველი მწვრთნელი კოტე ჯალიაშვილი იყო, მან გამიღვივა ფეხბურთისადმი ინტერესი. პირველი ნაბიჯები „ვაკე 91"-ში გადავდგი, მაგრამ ტრავმის გამო თითქმის ორი წელიწადი გამიცდა და ფაქტობრივად, ფეხბურთი მივატოვე, – თქვა ახალბედა დინამოელმა.

● ***შემდეგ სად დაუბრუნდით ფეხბურთს?***

– 1998-99 წლების სეზონში „მერანის" მეორე გუნდში გურამ გვანცელაძესთან ვთამაშობდი, მერე „დინამო 2"-ში გადმოვედი და ერთი წრე იქ დავასრულე. ახლა „დინამოს" ძირითად გუნდთან ვვარჯიშობ. არაფერი მაწუხებს, მწვრთნელსაც მოვწონვარ და ვეცდები მოცემული ავანსები გავამართლო და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო.

„დინამოს" დღეს ძალიან უჭირს. მაგრამ იმედი მაქვს ყველაფერი მოგვარდება, გუნდს პატრონი გამოუჩნდება და პრობლემებიც მოიხსნება. სეზონს თბილისში შევხვდებით, 6-7 ფეხბურთელი დავიმატეთ. ინტენსიურად ვემზადებით, ჯერ ფიზიკური ვარჯიშები გვაქვს, პარალელურად საკონტროლო მატჩებს ვატარებთ.

● ***ერთი სეზონი კახურ „მილანშიც გამოდიოდი...***

– იმ სეზონს მეტად თბილად ვიგონებ. კლუბის პრეზიდენტმა ავთო (ქაქუცა) მანგოშვილმა შვილივით მიმიღო, ჩემზე დიდი ამაგი გასწია და ამას არასოდეს დავივიწყებ, ისევე, როგორც ჯემალ ჩიმაკაძის ღვაწლს. ტყუპი არველაძეების ბავშვობის მწვრთნელმა ფეხბურთი სულ სხვა კუთხით დამანახვა...

● ***ოცი წლის ყმაწვილს ოცნებაც გექნება***

– ჩემპიონები უნდა გავხდეთ, მინდა, რომ ამაში წვლილი მეც შევიტანო და ერთიც, ასაკიდან გამომდინარე გუნდში კარგი თამაშით ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელებმა შემამჩნიონ და იქაც თავი გამოვიჩინო.

● ***შარშან, წლის ბოლოს, მურთაზ ხურცილავას „ექსპერიმენტშიც" მონაწილეობდი და მისგან ქების სიტყვებიც დაიმსახურე...***

– მართლაც ძალზე კარგი წამოწყება იყო, ხურცილავამ ყველა ჩვენგანს შანსი მისცა, თავი გამოეჩინა, მისმა ქებამ ფრთები შემასხა და მივხვდი, რომ მართლაც შემიძლია კარგად ვითამაშო. მურთაზ ხურცილავას სიტყვას, ვიცი, რომ ოქროს ფასი აქვს და, სიზმრად, მართლაც ოლიმპიური ნაკრების მაისური მელანდება...

● ***ბოლო ხანს ძალზე პოპულარული გახდა „აგენტობანა". თქვენს მატჩებს ხშირად ესწრება შუახნის მამაკაცი და მატჩისშემდგომ შენიშვნებსაც გაძლევთ...***

– ბატონ კუკურის გულისხმობთ, რას brძანებთ, რა აგენტი, იგი ჩემი უფროსი მეგობარია. ბატონი კუკური და მისი ძმა გიორგი თავს მევლებიან, ცდილობენ საყოფაცხოვრებო და სავარჯიშო პირობები მომიგვარონ, ეს კეთილი ხალხი მუდამ მამხნევებს და კარგადაც რომ ვითამაშო, სულ კრიტიკულ შენიშვნებს მაძლევენ, მათ იციან, რომ ჩემს ასაკში ქებამ შეიძლება გაწყინოს, თუმცა ეს პერიოდი გადავლახე, ახლა მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ...

● ***რეზო არველაძეს თქვენი დიდი იმედი აქვს...***

– მე კი პირიქით, რეზო არველაძის დიდი იმედი მაქვს. ჩვენი მწვრთნელი, თამამად ვიტყვი, ერთადერთი კაცია, ვისაც „დინამოს" აღორძინება შეუძლია. როცა ყველა პრობლემა მოგვარდება, ამას უმალ დაინახავთ და მეამაყება, რომ სწორედ რეზო არველაძესთან ვვარჯიშობ...

**მიხეილ საბახტარიშვილი**

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიისა და სტატისტიკის ვერსიით XX ასწლეულის საუკეთესო ფეხბურთელები

# „ოქროს მტაცებელი" ტოსტაო

*(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №5, 2001)*

თავიდან დაცვასა და თავდასხმას შორის ვიკავებდი პოზიციას, უფრო ზუსტად, როგორც ახლა ამბობენ, ქვეთავდასხმაში. მაგრამ გული ყოველთვის მიმიწევდა წინ, შეტევაში გოლი რომ გამეტანა, რამაც მოგვიანებით თავდასხმის წინახაზზე განსაზღვრა ჩემი ადგილი. მაგრამ თანდათანობით მივიწევდი მისკენ, ჯერ ზუსტი პასის მიცემასაც დავეუფლე, ფეხქვეშ კი არა, პარტნიორებს ვუყურებდი, რათა ბურთი რომ ჩამივარდებოდა, სწრაფად და ზუსტად გადამეწოდებინა მისთვის, ვინც საგოლე პოზიციაში აღმოჩნდებოდა. გოლი ხომ იმას გააქვს, ვინც სხვებზე ადრე მიხვდება, სად მოვა ბურთი. როგორ ხვდება იგი ამას? ვერ გიპასუხებთ. გრძნობს და მეტი არაფერი. არსებობს ალღო, აუხსნელი!

## დრიბლინგი. პასი. გოლი

ცამეტი წლისა მინი-ფეხბურთს ვთამაშობდი ჭაბუკთა გუნდ „კრუზეიროში", თოთხმეტისა – მოზარდთა პირველობაში, შემდეგ პირველ დივიზიონში. „მინი" დიდად დამეხმარა უაღრესად შეზღუდულ სივრცეში მემოქმედა, ბურთის დასაუფლებლად ორივე ფეხი „ჩამერთო" მოკლე, სწრაფ დრიბლინგში, მარჯვენა საყრდენად მქონოდა, მარცხენა – დასარტყმელად. ამ ჩვევის გამომუშავება აუცილებლად ესაჭიროება მოთამაშეს, საჯარიმოს სიახლოვეს თავმოყრილი თავისი და მეტოქის მოთამაშეთა სამჭიდროვეში სამოქმედოდ.

თხუთმეტისა აღმოვჩნდი „ამერიკის" ჭაბუკთა გუნდში და ვთამაშობდი ნორმალურ მინდორზე, სადაც პირველად გავხდი ჩემპიონი. ახლა გრძელ ჩაწოდებებს უნდა დავუფლებოდი, უნდა გამეზარდა თვალსაწიერის კუთხეც, ერთი წერტილიდან მეორეში სწრაფად გადამეწოდებინა ბურთი ფლანგიდან ფლანგზე. გახსოვთ, სწორედ ასე გათამაშდა კომბინაცია მსოფლიო-70-ის ჩემპიონატზე, როცა ბურთი ცენტრში გადავაწოდე, არც კი მომიკრავს თვალი პელესათვის, მან ბურთი საგოლედ გაუგორა უკან ჟაირს...

რამდენადმე თავად ვიყავი ჩემი მწვრთნელი. ყოველი თამაშის მერე გონების თვალით ვუბრუნდებოდი მინდორს და აღვიდგენდი ამა თუ ამ სიტუაციას, ვეძებდი და ვპოულობდი შეცდომებსა და საუკეთესო გადაწყვეტილებებს. თამაშის წინ დამოუკიდებლად ვსწავლობდი, რამდენადაც მიმიწვდებოდა წარმოდგენა, მეტოქეს, თვალწინ მქონდა ჩემი მოქმედება „მეურვეთა" წინააღმდეგ. ცნობილი სამთომოთხილამურე, ჟან კლოდ კილი, შეჯიბრების წინ გონებაში გადიოდა მთელ ტრასას, წამმზომით, და ამბობდა, რომ ზუსტად იმდენი დრო გადიოდა, რაც რეალურად დასჭირდებოდა ტრასის გასავლელად.

## გამოუყენებელი პენალტი

როგორც კი შემისრულდა თხუთმეტი წელი, ბავშვებთან მომუშავე კომისიის სპეციალური გადაწყვეტილებით ბრაზილიის შტატის პირველობაზე ჭაბუკთა ნაკრებში თამაშის ნება დამრთეს. მაგრამ მოსახდენი მოხდა: პირველსავე მატჩში ვერ გავიტანე პენალტი, წავაგეთ და გამოვეთიშეთ ტურნირს. ადვილი გასაგები უნდა იყოს ჩვენი განწყობილება, განსაკუთრებით ჩემი. ავტობუსით ვბრუნდებოდით და განსჯის დრო მქონდა. გადავწყვიტე შევშვებოდი ფეხბურთს და სერიოზულად მომეკიდა ხელი სწავლისთვის. ეს იყო პირველი შეძრწუნება, რომელიც შემდგომში არაერთხელ გამეორებულა, ავიღოთ თუნდაც 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, დამარცხება ლიბერტადორესის თასზე 1967 წელს, შტატის ჩემპიონის ტიტულის დაკარგვა 1971-ში.

მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა. ეტყობა, სულაც არ ვიყავი ჯაბანი, რაკი სულ მალე ჩამრთეს „ამერიკის" საწვრთნელ მატჩში ბრაზილიის ნაკრებთან. გავიტანე პირველი „მოზრდილი" გოლი და ქება დავიმსახურე.

მაგრამ ის გამოუყენებელი თერთმეტმეტრიანი მიბიძგებდა მეტი ყურადღება დამეთმო თვითგანათლებისთვის. ინტერესთა წრე საკმაოდ ფართო იყო, ძირითადად ჰუმანიტარული გახლდათ. დღისით ვვარჯიშობდი, საღამოობით კი დიდხანს და ბევრს ვკითხულობდი. მოგვიანებით შტატის საუკეთესო კოლეჯებში დავდიოდი. თვრამეტისამ მაინც შევძელი არჩევანი ფეხბურთსა და სწავლას შორის. დროებით შევწყვიტე სწავლა და სამერმისოდ გადავდე სიყრმის ოცნება – დავუფლებოდი მეცნიერებას.

ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ფეხბურთელის კარიერას საკმაოდ საიმედო პროფესიად მივიჩნევდი, უბრალოდ, იგი უფრო საინტერესოდ წარმომედგინა და რაღაც გამომდიოდა, რახან საკმაო ინტერესს იჩენდნენ ჩემდამი. მოგვიანებით საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მოჰყვა: უპირატესობა მეცნიერებას, კერძოდ, მედიცინას მივეცი. ცხოვრებაში ყოველთვის ვეძებთ რაღაც ახალს, უფრო მიმზიდველს.

## გამარჯვებები და დამარცხებები

თექვსმეტისამ ხელი მოვაწერე პირველ პროფესიულ კონტრაქტს ბელუ-ორიზონტას „კრუზეიროსთან". მანამდე, „ამერიკაში" მოყვარულის სტატუსით ვიყავი. ვიდრე გადასვლას გადავწყვეტდი, კლუბის ხელმძღვანელობას შევატყობინე. ჩემი გაფრთხილება მერკანტილურ მიზნებზე პრესინგად აღიქვეს. ტრანსფერი მაინც შედგა. ზუსტად „კრუზეიროს" პრეზიდენტის ქორწინების დღეს: კონტრაქტზე ხელი მოაწერა და ეკლესიას მიაშურა


1970 წ. მეხიკა. ტოსტაო და პელე – „ოქროს" წყვილი

ჯვრის დასაწერად. იმ დროისათვის სულაც არ იყო ცუდი ფული რომ მქონოდა. რა თქმა უნდა, რიოს და სან-პაულუს კარგი მოთამაშეები გაცილებით მეტს ღებულობდნენ.

ფეხბურთმა მომიტანა სახელი, სიხარული, შემოსავალი – მოკლედ, მოლოდინი გაამართლა. მეორეს მხრივ დაიკარგა ჯეილობა, დღესასწაულები, შაბათ-კვირა, კერძო ცხოვრების უფლება, გაჩნდა პრობლემა, ვინ უნდა ვიყო: მოქალაქე თუ კერპი, აგრეთვე შეიწირა ჯარმრთელობა, იძულებული გავხდი 26 წლისას მიმეტოვებინა ფეხბურთი.

თავიდან კარიერა იოლად წარიმართა. მაგრამ ერთხელ მწვრთნელმა თქვა, რომ ნამეტნავად ნელი ვარ, მარტო მარჯვენათი ვურტყამ ბურთს და ამიტომ პერსპექტივის ცოტა იმედია. წარმოიდგინეთ, როგორ იმოქმედებდა ეს ჩემზე, იმ მომენტიდან მოვუმატე ვარჯიშს, თანდათან დავიბრუნე ნდობა და ადგილი გუნდში, რომელმაც ბრაზილიის მასშტაბით მიაღწია წარმატებას. 1965 წელს გაიხსნა ახალი სტადიონი „მინეირაო", ვითამაშე გახსნაზე არგენტინის „რივერ პლეიტთან", გავიმარჯვეთ 1-0. ასე აიდგა ფეხი დიდმა „კრუზეირომ".

## ჩინებული გუნდი

1965-1970 წლებში „კრუზეირო" არავის უდებდა ტოლს მინას-ჟერეაისის შტატში, 1966-ში მოიპოვა ბრაზილიის თასი. იმ წლებში გამოირჩეოდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო **artilheiro** (ასე უწოდებდნენ ბრაზილიელები ფეხბურთის ბომბა-


*1969 წ. ტოსტაო უტევს ვენესუელთა ნაკრების კარს*

რდირებს) შტატის გუნდი 143 გატანილი ბურთით. მე კი ერთი გოლით გამასწრო გამოჩენილმა რეინალდომ, „ატლეტიკოს" ფორვარდმა.

რა გუნდი დგებოდა! პირველი მივედი, მე მომყვნენ დირსეუ ლოპესი – შესანიშნავი მოთამაშე, პიაცა, ნატალი, ევალდო, რაული, პედრო პაულო, ვილიამი, პროკოპიო, ნეკო, ჰილტონი, ოლივეირა. მოგვიანებით – ზე კარლოსი, ბრწყინვალე, მინდვრისშუა მოთამაშე, შეეძლო თავდამსხმელების „ამოკეტვა" და საოცარ პასს გვაძლევდა მე და ევალდოს, თავადაც ასრულებდა ცენტრფორვარდის როლს.

„კრუზეირო" ოთხი მცველით, სამი მინდვრისშუა მოთამაშითა და ორი წინწაწეული გარემარბით და ცენტრში ევალდოთი (**artilheiro**) და ზუსტი პასებით გამოირჩეოდა. ამ პოზიციაზე ბევრს ვბაძავდი მას მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატში. დირსაუ ლოპესი და მე კარგად ვენაცვლებოდით ერთმანეთს შეტევის მეორე ეშელონზე. ის გამოირჩეოდა სისწრაფით, მოულოდნელი გადაადგილებით და გრძელი დრიბლინგით, რასაც როგორც წესი, ძლიერი დარტყმა მოჰყვებოდა შორიდან. მე ბურთის ჩაწოდება, მოკლე დრიბლინგი და საჯარიმოში მოულოდნელი, როგორც ამბობენ, საჭირო ადგილას და საჭირო დროზე შეჭრა მიყვარდა.

ერთადერთი საგრძნობი წაგება ურუგვაის „ნასიონალთან" ვიგემეთ ლიბერტადორესის თასზე, რაც მიმაჩნია, უსამართლობა იყო, ვინაიდან „ნასიონალი" პირდაპირ ყურებით „ამოათრია" ბრაზილიელმა მეკარე მანგამ. ჩვენ გვიმტყუნა იმან, რომ არა გვქონდა ქვეყნის გარეთ თამაშის გამოცდილება.

***(გაგრძელება იქნება)***

გამომზეურებული ფოტორეტრო კომენტარებით გაგიგონიათ: „ტსპო"?!



# გამომზეურებული ფოტორეტრო კომენტარებით გაგიგონიათ: „ტსპო"?!

ეს აბრევიატურა ასე იშიფრება – „ტბილისკი სოიუზ პოტრებოტელსკიხ ორგანიზაციი". დიახ, იყო ასეთი გუნდი ომამდე, ტოლს რომ არ უდებდა თვით თბილისის „დინამოს" და „ლოკომოტივს". ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობდა იქ – გაიოზ ჯეჯელავა, გიორგი აფრიდონიძე, „ლიქბექა" ღვინიაშვილი, ვანჩუკა ჩერედნიჩენკო, მოგვიანებით რომ თბილისის „დინამოს" წევრები გახდნენ.

ეს ფოტოსურათი, რომელიც რედაქციას ძველმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ჯუანშერ ჯეჯელავამ მოაწოდა, 1935 წელსაა გადაღებული „დინამოს" მშენებარე სტადიონზე. მარცხნიდან: მწვრთნელი კონსტანტინ კრავჩენკო, გუნდის კაპიტანი ნესტორ ჩხატარაშვილი, მეკარე ნიკოლაი სოლონინი, ბიჭიკო კიკვაძე, „ლიქბექა" ღვინიაშვილი, გაიოზ ჯეჯელავა, ვანჩუკა ჩერედნიჩენკო, შალვა ჩხატარაშვილი, სურენ აკოფოვი, „ქოსა" ახმეტელი, „ტილა" ნახალოვკელი, შალვა რამიშვილი, გიორგი აფრიდონიძე.

**ოთარ ნოზაძის სარედაქციო არქივიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XIX ტური

**ვალენსია – ბარსელონა 0-1**
ფ. დე ბური (7)

**ბილბაო – რასინგი 3-1**
1-0 გერერო (45), 2-0,3-0 ურსაისი (56,76), 3-1 ამავისკა (80).

**მალაგა – დეპორტივო 1-3**
1-0 დარიო სილვა (11), 1-1 მაკაი (32), 1-2, 1-3 სკალონი (85,90).

**ოვიედო – მალიორკა 1-1**
0-1 ეტო (17), 1-1 მელერი (81).

**ალავესი – ნუმანსია 0-2**
მორანი (23), პაჩეტა (86).

**რაიო ვალეკ. – ლას პალმ. 1-1**
0-1 პადლო ლაგრო (29), 1-1 ბოლო (40).

**ესპანიოლი – ვილიარეალი 2-1**
1-0 პოსე (24), 2-0 ტამუდო (59), 2-1 კრაიოვიანუ (89).

**სელტა – სარაგოსა 1-1**
1-0 კატანია (17), 1-1 ველისკა (25).

**ოსასუნა – სოსიედადი 1-1**
0-1 იდიაკესი (58 პენ.), 1-1 იანკაუსკასი (79 ს.კ.).

**ვალიადოლიდი – რეალი 2-2**
1-0 კამინერო (4), 1-1 რობერტო კარლოსი (45), 1-2 მორიენტესი (65), 2-2 ფერნანდო (86).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 18 | 12 | 3 | 3 | 43-21 | 39 |
| დეპორტივო | 19 | 11 | 4 | 4 | 34-18 | 37 |
| ბარსელონა | 19 | 11 | 3 | 5 | 39-27 | 36 |
| ვალენსია | 19 | 10 | 5 | 4 | 29-13 | 35 |
| მალიორკა | 19 | 8 | 7 | 4 | 28-25 | 31 |
| რაიო ვალეკ. | 19 | 7 | 8 | 4 | 38-28 | 29 |
| ლას-პალმასი | 19 | 8 | 4 | 7 | 23-35 | 28 |
| მალაგა | 19 | 8 | 3 | 8 | 30-29 | 27 |
| ბილბაო | 19 | 7 | 5 | 7 | 27-25 | 26 |
| ვილიარეალი | 19 | 7 | 5 | 7 | 23-22 | 26 |
| სარაგოსა | 18 | 5 | 9 | 4 | 24-20 | 24 |
| ალავესი | 19 | 7 | 3 | 9 | 29-27 | 24 |
| ესპანიოლი | 19 | 7 | 3 | 9 | 21-23 | 24 |
| ოვიედო | 19 | 7 | 3 | 9 | 23-33 | 24 |
| ვალიადოლ. | 19 | 4 | 10 | 5 | 22-25 | 22 |
| სელტა | 19 | 5 | 5 | 9 | 22-30 | 20 |
| ნუმანსია | 19 | 5 | 4 | 10 | 20-30 | 19 |
| ოსასუნა | 19 | 3 | 8 | 8 | 20-29 | 17 |
| რასინგი | 19 | 3 | 5 | 11 | 20-33 | 14 |
| სოსიედადი | 19 | 3 | 5 | 11 | 17-39 | 14 |

## იტალია
### სერია A. XV ტური

**ბოლონია – ვერონა 1-0**
ლოკატელი (5)

**ლაციო – ინტერი 2-0**
1-0 კრესპო (5), 2-0 სალასი (76 პენ.)

**ატალანტა – ფიორენტინა 0-0**

**ბარი – რეჯინა 2-1**
0-1 კოზა (28), 1-1 ინოჩენტი (37), 2-1 ანდერსონი (80 პენ.)

**ნაპოლი – უდინეზე 0-1**
0-1 სოსა (67).

**პარმა – ლეჩე 1-1**
1-0 მილოშევიჩი (53), 1-1 ლუკარელი (90)

**პერუჯა – იუვენტუსი 0-1**
0-1 ინძაგი (58)

**ვიჩენცა – ბრეშა 1-1**
0-1 ჰიუბნერი (3), 1-1 კალორი (47 საკ. კარში).

**მილანი – რომა 3-2**
1-0 ლეონარდო (3), 2-0 შევჩენკო (21), 2-1 ტოტი (44), 3-1 შევჩენკო (45), 3-2 ტოტი (87 პენ.).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 15 | 10 | 3 | 3 | 28-12 | 33 |
| იუვენტუსი | 15 | 8 | 6 | 1 | 24-13 | 30 |
| ლაციო | 15 | 8 | 3 | 4 | 26-17 | 27 |
| ფიორენტინა | 15 | 6 | 7 | 2 | 29-19 | 25 |
| ატალანტა | 15 | 6 | 5 | 4 | 16-12 | 23 |
| მილანი | 15 | 6 | 5 | 4 | 25-23 | 23 |
| ბოლონია | 15 | 7 | 2 | 6 | 19-17 | 23 |
| უდინეზე | 15 | 7 | 1 | 7 | 26-22 | 22 |
| პარმა | 15 | 5 | 5 | 5 | 17-16 | 20 |
| ლეჩე | 15 | 5 | 5 | 5 | 19-24 | 20 |
| პერუჯა | 15 | 5 | 4 | 6 | 20-20 | 19 |
| ინტერი | 15 | 4 | 6 | 5 | 16-19 | 18 |
| ვიჩენცა | 15 | 4 | 4 | 7 | 16-23 | 16 |
| ვერონა | 15 | 3 | 6 | 6 | 18-26 | 15 |
